საჯარო სამართლის იურიდიული პირი
ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

ბრძანება

ქ. თბილისი

N 1712-03
24/09/2025

2025 წლიდან 2028 წლის ჩათვლით ერთიანი ეროვნული გამოცდების საფუძველზე ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში საბაკალავრო საფეხურსა და ქართულის, როგორც მეორე ენისა და ინტეგრაციის პროგრამაზე ჩარიცხული სტუდენტებისათვის ჯილდოს სახით ერთჯერადად სასტიპენდიო ვაუჩერების დაწესების შესახებ

,,უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 23-ე მუხლის 1-ლი პუნქტის, 24-ე მუხლის 1-ლი პუნქტის ,,ზ" ქვეპუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 11 სექტემბრის N134/ნ ბრძანებით დამტკიცებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების მე-19 მუხლის 1-ლი და მე-20 მუხლის 1-ლი პუნქტი ,,თ" ქვეპუნქტის, საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებლის 2025 წლის 21 აგვისტოს N14130-35 სამსახურებრივი ბარათის, აკადემიური საბჭოს 2025 წლის 27 აგვისტოს N8 სხდომის გადაწყვეტილების საფუძველზე,

ვბრძანებ

1. დაწესდეს 1000 ლარიანი (გადასახადების გარეშე) ერთჯერადი სტიპენდია იმ პირებისათვის, რომლებიც 2025, 2026, 2027, 2028 წლებში, ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგების საფუძველზე ჩაირიცხებიან ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში და დააკმაყოფილებენ ქვემოთ მოცემულ ერთ-ერთ კრიტერიუმს:

ა) 2025, 2026, 2027, 2028 წლების ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგების საფუძველზე ჩაირიცხება ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ნებისმიერ პროგრამაზე და შესაბამისი წლის ერთიან ეროვნულ გამოცდებზე მიღებული ქულებით იქნება საქართველოს მასშტაბით 100 ყველაზე მაღალი საკონკურსო ქულის მქონე აბიტურიენტთა შორის;

ბ)2025, 2026, 2027, 2028 წელს ჩაირიცხება ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის ქართულის, როგორც მეორე ენისა და ინტეგრაციის პროგრამაზე და აღნიშნულ პროგრამაზე იმავე წელს ჩარიცხულ სტუდენტებს შორის ყველაზე მაღალი საკონკურსო ქულა ექნება;

გ) 2025, 2026, 2027, 2028 წელს ჩაირიცხება ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის საბაკალავრო საფეხურზე და აღნიშნულ ფაკულტეტზე, საბაკალავრო საფეხურზე იმავე წელს ჩარიცხულ სტუდენტებს შორის ყველაზე მაღალი საკონკურსო ქულა ექნება;

დ) 2025, 2026, 2027, 2028 წელს ჩაირიცხება ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისა და მედიცინის ფაკულტეტის საბაკალავრო საფეხურზე და აღნიშნულ ფაკულტეტზე იმავე წელს ჩარიცხულ სტუდენტებს შორის ყველაზე მაღალი საკონკურსო ქულა ექნება;

ე) 2025, 2026, 2027, 2028 წელს ჩაირიცხება ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მედიცინის სკოლაში და აღნიშნულ სკოლაში იმავე წელს ჩარიცხულ სტუდენტებს შორის ყველაზე მაღალი საკონკურსო ქულა ექნება;

ვ) 2025, 2026, 2027, 2028 წელს ჩაირიცხება ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის სკოლაში და აღნიშნულ სკოლაში იმავე წელს ჩარიცხულ სტუდენტებს შორის ყველაზე მაღალი საკონკურსო ქულა ექნება;

ზ) 2025, 2026, 2027, 2028 წელს ჩაირიცხება ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის განათლების სკოლაში და აღნიშნულ სკოლაში იმავე წელს ჩარიცხულ სტუდენტებს შორის ყველაზე მაღალი საკონკურსო ქულა ექნება;

თ) 2025, 2026, 2027, 2028 წელს ჩაირიცხება ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ტექნოლოგიის სკოლაში და აღნიშნულ სკოლაში იმავე წელს ჩარიცხულ სტუდენტებს შორის ყველაზე მაღალი საკონკურსო ქულა ექნება;

ი) 2025, 2026, 2027, 2028 წელს ჩაირიცხება ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სამართლის სკოლაში და აღნიშნულ სკოლაში იმავე წელს ჩარიცხულ სტუდენტებს შორის ყველაზე მაღალი საკონკურსო ქულა ექნება.

2. ამ ბრძანებით დაწესებული ერთი სასტიპენდიო ვაუჩერი გაიცემა ერთ სტუდენტზე. იმ შემთხვევაში, თუ პირი აკმაყოფილებს სასტიპენდიო ვაუჩერის გაცემის ერთზე მეტ პირობას, დაჯილდოვდება უკეთესი პირობების მქონე სასტიპენდიო შეთავაზებით.

3. ორი თანაბარქულიანი სტუდენტის შემთხვევაში სტიპენდია გაიყოფა ორ თანაბარ ნაწილად.

4. უნივერსიტეტის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს დაევალოს ამ ბრძანებით განსაზღვრული ინფორმაციის უნივერსიტეტის ვებ-გვერდსა და სოციალურ ქსელ ფეისბუქზე განთავსება.

5. უნივერსიტეტის კანცელარიას დაევალოს ამ ბრძანების დაინტერესებულ პირთათვის საჯარო წესით გაცნობა და უნივერსიტეტის ელექტრონულ პროგრამა კოდექსში ატვირთვა.

6. უნივერსიტეტის კანცელარიას დაევალოს, მიაწოდოს ამ ბრძანების ასლები უნივერსიტეტის ფაკულტეტებს და სკოლებს, ბიუჯეტირებისა და ფინანსური ანალიზის სამსახურს, აღრიცხვა-ანგარიშგების სამსახურს, ადმინისტრაციული პროცესების კოორდინაციისა და მართვის სამსახურს, საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს, სტუდენტურ საქმეთა დეპარტამენტს, იურიდიულ სამსახურს, რექტორის აპარატს და რექტორის მოადგილეს.

ქეთევან დარახველიძე

ადმინისტრაციის ხელმძღვანელი